

<p>2013-2017</p>	<p>პროგრამა TEMPUS პროექტი ARMAZEG</p>	<p>ARMAZEG არის პროგრამის TEMPUS პროექტი, რომელიც შესრულდა 4 სომხური, 3 ქართული და 4 ევროპული უნივერსიტეტისგან შემდგარი კონსორციუმის მიერ. პროექტის ძირითადი მიზანია სასწავლო პროცესის გაუმჯობესება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სტუდენტებისა და უწყვეტი განათლების მიღების მსურველთათვის.</p> <p>პროექტს ჰქონდა რამდენიმე ძირითადი მიზანი, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენებით უწყვეტი განათლების ინსტრუმენტების სტატეგიების დანერვა ინსტიტუციურ და ნაციონალურ დონეზე; • ელექტრონული სწავლების პედაგოგიური მოდელების შემუშავება და გავრცელება; • ვირტუალური მობილობის პრინციპების იმპლემენტაცია კურსის და პროგრამის დონეზე; <p>პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ არსებული მდგომარეობის ანალიზი ემეტორბული სწავლების სფეროში; ✓ ხედვისა და იმპლემენტაციის სტრატეგიის შემუშავება; ✓ ელექტორული სწავლების ცენტრების შექმნა პარტნიორ უნივერსიტეტებსა და ინსტიტუციებში; ✓ მასწავლებლების მომზადება ელექტორული სწავლებისთვის; ✓ საპილოტებკურსების მომზადება; <p>სტუ პასუხისმგებლობას იღებდა შემდეგზე:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ მენეჯმენტი და აქტივობების კოორდინირება სტუ-ს ფარგლებში. საპროექტო გუნდში შედგებოდა 15 წევირსაგან; ✓ ელექტორული სწავლების ცენტრის აღჭურვა; ✓ ელექტრონული კურსების მომზადება, მათ შორის მომზადდა: <ul style="list-style-type: none"> ○ ვირტუალური კომუნიკაცია; ○ პროექტების მართვა; ○ მენეჯერული ეკონომიკა; ○ შესავალი ვებ-დიზაინში; ✓ მასწავლებლთა მომზადების პროცესის მართვა და კოორდინირება; <p>პროექტის ფარგლებში ჩატარდა გამოკიტხვა, რომლის მიზანი იყო დაედგინა ბაზრის მოთხოვნები და მოლოდინები ელექტორული სწავლების მიმართულებით საქართველოში. ამ პროცესში</p>
------------------	--	---

გამოყენებული იყო როგორც ბეჭდური კითხვარები, ასევე გამოკითხვის ელექტრონული სისტემები. მირებული მონაცემების საფუძველზე შექიმნა დოკუმენტი, რომელიც აღწერს ელექტრონული სწავლების არსებულ მდგომარეობას საქართველოში.





2013-2017
 პროგრამა
 TEMPUS
 პროექტი
 DESIRE

პროექტის DESIRE მიზნი იყო ჩაშენებული სისტემების კურსების მომაზადება ინოვაციური ვირტუალური მიდგომების გამოყენებით უკრაინას, საქართველოსა და სომხეთში, კვლევის, სწავლებისა და წარმოების პროცესის ინტეგრაციისთვის. პროექტში მონაწილეობდა 3 ევროპული უნივერსიტეტი, 4 უნივერსიტეტი უკრაინიდან, 3 სომხეთიდან და 2 უნივერსიტეტი საქართველოდან.

პროექტი ორიენტირებული იყო სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე საინჟინრო განათლებაში. პროექტის ერთ-ერთი მიზანი იყო ჩართული სისტემების დისტანციური ფიზიკური ლაბორატორიის ჩამოყალიბება და შესაბამისი ვირტუალური გარემოს შექმნა LMS- ის გამოყენებით (კერძოდ, LMS Moodle).

სტუ პასუხისმგებლობას იღებდა შემდეგზე:

- ✓ მენეჯმენტი და აქტივობების კოორდინირება სტუ-ს ფარგლებში;
- ✓ ელექტორნული სწავლების პლატფორმის შექმნა;
- ✓ ელექტორნული სწავლების კურსებისა და სხვა ელექტორნული რესურსების მომზადება პროცესის მართვა და კოორდინირება. მომზადდა შემდეგი კურსები:
 - ციფრული სისტემების არქიტექტურა;
 - მონაცმთა დამუშავების ენების საფუძვლები;
 - მართვის სისტემების საფუძვლები;





2012 -
2015

პროგრამა
TEMPUS
პროექტი
ENGITEC

პროექტის ENGITEC მიზნი იყო სასწავლო პროცესის შინაარსისა და სტრუქტურის, სწავლების მეთოდების და სასწავლო მასალების განახლება ქართულ, უკრაინულ და უზბეკურ უნივერსიტეტებში

		<p>ევროკავშირის უმაღლესი საინჟინრო განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგის მიხედვით. რადგან ერთჯერადი ქმედებები ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას საინჟინრო განათლებაზე ამიტომ, პროექტის მეთოდოლოგია ითვალისწინებდა შემდეგი ფაქტორების სინერჯის ეფექტს:</p> <ul style="list-style-type: none"> - სტრუქტურისა და შინაარსის გადახედვა სწავლის შედეგების მიხედვით, თანამედროვე ტექნოლოგიური გამოწვევების გათვალისწინებით; -ადამინური რესურსის გადამზადება -სწავლების ინოვაციური მეტოდების დანერგვა; -საინჟინრო სპეციალობებში ინტერდისციპლინარული მოდულების დანერგვა; -დიზაინის ინტერ-ფაკულტეტური ლაბორატორიის შექმნა; -აკადემია-ინდუსტრიის დიალოგის ინიცირება. <p>სტუ პასუხისმგებლობას იღებდა შემდეგზე:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ სასწავლო სტრუქტურისა და სასწავლო მასალის შესწავლა სტუ-ში, თანამედროვე ტექნოლოგიური გამოწვევების გათვალისწინებით; ✓ ახალი საგაანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა;
--	--	---



		 
<p>2015-2018</p>	<p>DAAD უნივერსიტეტი- ბიზნესი თანამშრომლობის ს პროგრამა</p>	<p>ორგანიზაცია DAAD-ის მიერ დაფინანსებული პროექტი “უნივერსიტეტი - ბიზნესი თანამშრომლობის პროგრამა” გამიზნულია ზოგიერთი ქართული და ყირგიზული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკის გარკვეული წილის დანერგვაზე პრაქტიკაზე-ორიენტირებულ, დუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლისთვის მომზადების მიზნით.</p> <p>პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე ყურადღება ფოკუსირებული იყო ინფორმატიკის საგანმანათლებლო პროგრამებზე,</p>

კერძოდ პროგრამებზე საინფორმაციო სისტემებსა და პროგრამულ ინჟინერიაში.
 პროექტის ფარგლებში ორმ სტუდენტმა სტუ-დან გაიარა საწარმოო პროექტიკა გერმანულ კომპანიაში „Community4 You”.
 გარდა ამისა, 2 პროფესორი და 1 მასწავლებელი უკვე ეწვია ცვიკაუს გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტს კვლევის ჩასატარებლად და ტრენინგებისთვის. პროგრამის ფარგლებში, 2018 წლის ბოლომდე ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის რამდენიმე სტუდენტი კიდევ გაემგზავრება სტაჟირებაზე.
 გარდა ამისა, მზადდება ახალი მობილობის ხელშეწყობა სტუ-სა და ცვიკაუს უნივერსიტეტს შორის, რომელსაც ხელი 2018 წელს მოეწერება.



2009-
2013

GIZ

ორგანიზაცია GIZ-ის მიერ დაფინანსებული პროგრამა „შესაძლებლობების განვითარება და ადამიანური რესურსების

პროგრამა
„შესაძლებლობების განვითარება და ადამიანური რესურსების მომზადება ელექტრონული სწავლებისთვის სამხრეთ კავკასიაში“

მომზადება ელექტრონული სწავლებისთვის სამხრეთ კავკასიაში” მიზნად ისახავდა საუველის შექმნას ელექტრონული სწავლების განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

პროგრამის ფარგლებში მომზადდა 5 ელექტრონული კურსი საქართველოს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში. შეიქმნა ელექტრონული სწავლების პლატფორმა, სადაც გადამზადდნენ მასწავლებლები 7 უნივერსიტეტიდან, 10 პროფესიული სასწავლებლიდან და 3 სახელმწიფო ორგანიზაციიდან.

გარდა კურსებისა გარე მომხამრებლებისთვის, პროექტის ფარგლებში შეიქმნა რამდენიმე ელექტრონული სასწავლო კურსი სტუ-ს სტუდენტებისთვის, რომლებაც ისინი იყენებდნენ როგორც დამხმარე მასალას ტრადიციული დასწრებული სწავლების პირობებში.

პროექტის ფრგლებში შეიქმნა ელექტრონული სწავლების ნაციონალური ქსელი, რომლი ერთ-ერთი დამფუძნებელი არის სტუ.





